დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: სოფიკო ბოქოლიშვილი
წევრები:
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - **ფარნაოზ იორდანიშვილი;**
ელენე მიდელაშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დავით ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამთა პეტრიაშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან პარუნაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლილი კაცაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარი კვანტიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მაია ჩაჩხიანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მიხეილ გაფრინდაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო კოვზიაშვილი- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225361202

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ბოლნისი**
იურიდიული მისამართი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
ფაქტობრივი მისამართი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
საფოსტო ინდექსი	**1100**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Sso.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bolnisi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591990591

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 20 ივნისის №721814 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 18-19 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული ენა	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 18-19 სექტემბერს. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტს და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. ჩატარებული ინტერვიუთი, ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ტიპის ბარიერები, რომლებიც უფრო ვრცლად წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- **1210**	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპების დაცვით.	სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლბით დადგენილი ცნობების წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში. (21.09.2023-30.11.2023-მდე)
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (16.11.2023- 15.06.2024-მდე) უზრუნველყოს: ✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ; ✓ დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან.

ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 1.11.2023-29.12.2023-მდე) უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი 2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (*16.11.2023-30.12.2023 -მდე)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლაში დასაქმებულების ჩანაცვლების მექანიზმები.*
ინდიკატორი 3.2.1.3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	*სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს დამხმარე პერსონალის პროფესიულ ზრდას და განვითარებას.*
ინდიკატორი 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ შექმნას თანამშრომელთა ინტეგრაციის რეგულირების დოკუმენტი, სადაც გაიწერება თანამშრომელთა ინტეგრაციის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.*
ინდიკატორი 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლის საგანმანათლებლო*

		საქმიანობის მართვის პროცესები, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.
ინდიკატორი 3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	*შეიმუშაოს მშობლებთან ურთიერთობის წესი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.*
ინდიკატორი 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა სადამრიგებლო პროგრამებში დააზუსტოს დამრიგებლის მოვალეობები. კერძოდ, რა სიხშირით და რა ფორმით აწვდის მშობელს მოსწავლის შედეგებს.*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის შესახებ. ასევე, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და კანონმდებლობის შესაბამისად სამედიცინო კაბინეტში უზრუნველყოს პაციენტთა პრივატულობა.*
ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	*ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, სადაც დაკონკრეტდება მისი ფუნქციები. ასევე, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა გრძანების სახით განსაზღვროს*

		სკოლის ვებ-გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	***რჩევა***
ინდიკატორი 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	*მარეგულირებელ დოკუმენტში ჩაიწეროს ნამუშევრების 3 წლით შენახვის ვალდებულება.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებაში-1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.1.2.3.; 3.4.1.1.; 3.5.1.3; მეოთხე

სტანდარტთან მიმართებაში 4.1.1.3 და მეორე სტანდარტთან მიმართებაში - დაწყებით საფეხურზე -2.2.2.5.; საბაზო საფეხურზე - 2.2.2.5.; საშუალო საფეხურზე -2.2.2.5.; ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
   სკოლის მისია ხედვა შსესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს,
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბასმება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, სკოლის მისია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზეა ორიენტირებული, ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და აქცენტს აკეთებს ინსტიტუციის მუდმივი განვითარებაზე. ასევე, თავისუფალ, შემოქმედ და კომპეტენტური პიროვნების აღზრდაზე, რომელსაც წვლილილი შეაქვს ქვეყნის სამეცნოერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ღირებულებებში კი იკვეთება სკოლის ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ორიენტირებულია გუნდურობაზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, სხვისი აზრის პატივისცემაზე და სხ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიაა კონკურენტუნარიანი, განათლებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი მოქალაქეების მომზადება-დროის გამოწვევების შესაბამისი სწავლების ხარისხის მუდმივი განვითარებისა და ეროვნულთან ერთად მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იძებნება დოკუმენტი, რომელითაც დადასტურდება მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებები. თუმცა, მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულები. წინასწარი მონახაზის ჩამოყალიბების შემდეგ, დამრიგებლები აცნობენ ვიზუალურად მშობლებს ძირითად მიმართულებებს, ამავე შეხვედრებზე ხდება მშობლებისგან მოსაზრებების და უკუკავშირის მიღება, რომლებიც შემდგომ აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, სადაც ჩამოყალიბებულია ის მექანიზმი, რომლითაც სკოლა დაარეგულირებს შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების შედეგად შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან და მშობლებთან, სადაც მასწავლებლები ზეპირად იღებენ მშობლებისგან და მოსწავლეებისგან უკუკავშირს. *ექსპერტთა ჯგუფის წევრება სკოლას მისცა რჩევა, რომ სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად გაწეროს რა ფორმით მოხდება აღნიშნული დოკუმენტის გაზიარება და ვინ იქნებიან მასზე პასუხისმგებებლი პირები.*

ინდიკატორი 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია როგორც სკოლის დერეფანში, ასევე ატვირთული აქვს სკოლას სკოლას საკუთარ ვებ გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება „სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. *ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლის შესატყვისი მიზნები, მიზნის მიღწევის გზები და აქტივობები ასახოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის მისია ხედა და ღირებულებები
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი
- ✓ მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის შედგენის წინაპირობას, აღნიშნული დოკუმენტი ზოგადია, მაგრამ ცალსახად იკვეთება, რომ სკოლა მისიაზე და ხედვაზე დაფუძნებით შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. მეთოდოლოგია ასევე მოიცავს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული მხარეების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებსაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო დამტკიცებული, გარდა ამისა, წარმოდგენილი გეგმა არ არის ავთენტური და სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული. აღნიშნულ დოკუმენტში ჯერ იკითხება სკოლის ხედვა, ხოლო შემდეგ მისია და სკოლის ღირებულებები. ასევე, დასაზუსტებელია და სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებთან შესაბამისობასობაშია მოსაყვანი მიზნის შესაბამისი ამოცანების განხორციელების გზები და დელეგირებული პასუხისმგებლობები. **სკოლამ 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.09.2023 - 29.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.**

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოდგენა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონახაზი, რომელშიც მხოლოდ განსახორციელებელი მიმართულებების ჩამონათვალია. გარდა ამისა, გეგმაში გაწერილი აქტივობები იწყება 2022 წლის სექტემბრიდან და მთავრდება 2023 წლის ივნისიში, სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მოქმედი ერთწლიანი გეგმა დამტკიცებული. **სკოლამ 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.09.2023 - 29.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შვიდწლიან გეგმაზე დაყრდნობით.**

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს მოქმედი ერთწლიანი გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი წინა წლის საქმოქმედო გეგმა (2022-2023) მოიცავს მხოლოდ შემდეგ კომპონენტებს: მიზნებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და ვადებს, სამოქმედო გეგმაში არ ჩანს არც ინდიკატორები და არც საჭირო რესურსები-ფინანსური, ადამიანური და მატერიალური. **სკოლამ 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.09.2023 - 29.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
- სამოქმედო გეგმა (2022-2023)
- სტრატეგიული გეგმის პროექტი
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული მისიის, ხედვის და ღირებულებების დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილია შესრულების მონიტორინგისა და შეფასების რეგულაციები, 12 თავში მოცემულია მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა:

1)დრაივზე გაზიარებული ანგარიშებისა და მტკიცებულებების საშუალებით სამუშაო ჯგუფის წევრები აფასებენ აქტივობებს შემდეგი სტატუსებით: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. არსებული ინფორმაციით იქნება. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;

2)სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში და ადგილზე ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გააზრებული სასკოლო პროცესში მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც ადგენს პრიორიტეტულ მიმართულებებს. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ეტაპობრივად დახვეწავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, სადაც კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი სადაც დაწყებულია კანონით გათვალისწინებული სასკოლო რეგულაციების ატვირთვა. სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს აქტივობების გამრავალფეროვნებას და გაძლიერებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სსიპ- სულხან -საბა ორბელიანის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს სრული მზაობა ყველა ის ხარვეზი რაც აღიწერება გაითვალისწინოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. წარმოდგენილი დოკუმენტები (სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) მოიცავს შესაბამის მექანიზმებს, რაც დაეხმარება სკოლას შედეგების გაანალიზებაში. სკოლის თანამშრომლებმა და ადმინისტრაციის წევრებამა აღნიშნეს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის ბოლნისის N 1 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, რომელიც დამტკიცებულია (18.09. 2023 ; ბრძანება N2-94) აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია, ბუღალტერი, სკოლის პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, მრჩეველთა საბჭო, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, დამლაგებელი, დარაჯი. სკოლას აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქცია მოვალეობები გაწერილი აქვს ერთიანი დოკუმენტის სახით. ასევე, სკოლას დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერ დოკუმენტში ჩანს საშტატო ერთეულებს შორის პასუხისმგებლობების და ფუნქციების გადანაწილება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობებით. სტუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ კარგად ჩანს ჯანსაღი შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობები, რაც საბალოოდ დადებითად აისახება სკოლის საგანამანათლებლო საქმიანობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- სულხან საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4 (24.03.2023)
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 (2022)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. პროცესების მართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თითოეული რგოლის განაწილებული მოვალეობები რომელიც წარმოდგენილია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აქცენტს აკეთებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და კარიერულ წინსვლაზე. *აღნიშნულ დოკუმენტი არის ზოგადი და მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ, არ არის გაწერილი პერსონალის მართვის კონკრეტული მექანიზმები, ნაკლებად ჩანს ის , თუ როგორ მოხდება სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარება, სკოლის გაზაზე მასწავლებელთა შიდა შეფასება, მასწავლებლის საქმიანობაზე _საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.*

ადგილზე ვიზიტის დროს, მასწავლებლება აღნიშნეს, რომ კათედრაზე იყენებენ სხვადასხვა შეფასების ფორმებს, მაგ: თანაშეფასება და თვითშეფასება, რომლებიც ეხმარებათ დაინახონ როგორც საკუთარი ასევე ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პერსონალის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე აწარმოებენ ანალიზს და აღწერას _ ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა ვაკანსიის განაცხადი, სადაც წარმოდგენილია ყველა ის მოთხოვნა, რასაც უყენებს კონკრეტული დასაკავებელი პოზიცია ინდივიდებს. სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის გაწერილი კადრების ჩანაცვლების პროცედურები, კერძოდ სკოლას არ აქვს შემუშავებული მექანიზმები, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას. *ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლაში დასაქმებულების ჩანაცვლების მექანიზმები .*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აცხადებს კონკურსს ვებგვერძე pedagogi.ge_ზე , სადაც თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. ადგილზე ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ პერსონალის პირად საქმეში არის მხოლო ცნობა ნასამართლეობის შესახებ. 2020 წლის შემდგომ პერიოდში დასაქმებული პედაგოგების პირად საქმეში არ მოიძებნა არც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და არც უფლების ჩამორთმევის შესახებ. **სკოლამ 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 21.09.2023 - 30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს იდენტიფიცირებული პედაგოგების მიერ კანონმდებლბით დადგენილი ცნობების წარმოდგენა.**

ინდიკატორი 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, სადაც ჩანს, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის წევრებს გაცნობიერებული აქვთ, თანამშრომელთა კვალიფიკაციის მნიშვნელოვნება მმართველობითი პროცესების ეფექტურობისთვის, სკოლის პერსონალის მონაცემები პირადი საქმეების გარდა განთავსებულია eschool -ის ბაზაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლა აღიარებს გუნდური თანამშრომლობის პრინციპებს. სხვადასხვა საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭირვალე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებს შორის ხდება საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, პროფესიული დიალოგები და ცოდნათა ურთიერთგაზიარება. კათედრების სამუშაო ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა კათედრათაშოდისი ურთიერთდასწრების ფორმები, ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში, პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ კონკურსებში. სკოლაში ნებისმიერი წარმატების გასაჯაროვება ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ასევე, აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები, რომლებიც შერჩეულნი არიან სხვადასხვა კონფერენციებში მომხსენებლად თუ მონაწილედ, სკოლაში დაბრუნების შემდგომ მასწავლებლებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლების პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება
- პროექტები და გაკვეთილის გეგმები
- შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც გაწერილია აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის წესები და გადამოწმების მექანიზმები. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სახით, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს და მომავალშიც განახორციელებს თანამშრომელთა განვითარებას და მათი საჭიროებების გამოვლენას. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ერთმანეთს ეხმარებიან აქტივობების დაგეგმვასა თუ განხორციელებაში. სკოლამ ვიზიტის დროს, ადგილზე წარმოადგინა კათედრის პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილია გაკვეთილზე დასწრების გეგმები შესაბამისი უკუკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, აქ გაწერილია ადამიანური რესურსების შეფასების ჯგუფის მიზნები და ამოცანები. მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების გეგმა წარმოდგენილია კათედრების პორტფოლიოებში, სადაც წარმოდგენილია ურთიერთდასწრების ამსახველი მასალები და ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში. სკოლას სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს პერსონალის კარიერული წინსვლის აქტივობები. დირექციის წევრები ხელს უწყობენ პედაგოგებს მრავალფეროვანი პროექტების განხორციელებაში, აწვდიან შესაბამის რესურსებს და ყველა იმ საჭირო მასალას რომელიც საჭიროა პროფესიული წინსვლისთვის. მასწავლებლები მონაწილოებას იღებენ სხვადასხვა პროექტებში, აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან არის წახალისებული და მხარდაჭერილი. მასწავლებლები არიან სხვადასხვა საგნობრივი ასოციაციებისა და კლუბის წევრები. პერსონალთა პირად საქმეებში წარმოდგენილია მასწავლებლების სერტიფიკატები. *სკოლას ნაკლები ყურადღება ჰქონდა დათმობილი სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენაზე, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა, მეტი ყურადღება დაუთმოს დამხმარე პერსონალის პროფესიულ ზრდას და განვითარებას.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მ/შ და საგნობრივი კათედრის წევრები, ისინი ახალ თანამშრომლებს აცნობენ სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლაში ამჟამად დასაქმებულია 51 მასწავლებელი, დირექციის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება, სკოლაში არის თანამშრომლობითი და კოლეგიალური კულტურა და ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია არასოდეს არ გასჭირვებიათ. *ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა რომ შექმნას თანამშრომელთა ინტეგრაციის რეგულირების დოკუმენტი, სადაც გაიწერება თანამშრომელთა ინტეგრაციის მექანიზმები პასუხისმგებელი პირები და ვადები.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, ესენია:

ა)მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯოლდოება. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ვიზიტის დროს

სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლებს გადასცემს ნომინაციებს, მაგ: წლის საუკეთესო დამრიგებელი, წლის საუკეთესო დამწყები მასწავლებელი და სხ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი
- კათედრის პორტფოლიოები
- პირად საქმეებში განთავსებული მასწავლებლების სერტიფიკატები
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წევრებთან და მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პროცესების ხარისხის მართვას. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სწავლა- სწავლების ხარისხის მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისთვის ხელშეწყობა. ადმინისტრაციის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და შედეგებზე დაკვირვებას. *აღნიშნულ დოკუმენტში, პუნქტების აღწერილობა ზოგადია, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოცემულ დოკუმენტში - „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ - კონკრეტულად გაიწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესები, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტში, ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში და შრომით ხელშეკრულებებში. მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობები ჩანს დირექციის წევრების ფუნქციებში და დირექტორის ბრძანებებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის /მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური წარმოების წესი, საჩივრის განხილვის წესი და სხ. ასევე, სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლის /მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, მაგალითად , დისციპლინური კომიტეტი განიხილავს განცხადებებს, სამეურვეო საბჭო განიხილავს გარედან შემოსულ საჩივრებს ან დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრებს. *სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის წესი, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მშობლებთან ურთიერთობის წესი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელტან გაფორმებული ხელშეკრულბები
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ვებ გვერდს და Microsoft Teams _ის პლატფორმას, სკოლის დერეფანში გამოკრულია საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაციის მატარებელი განცხადებები. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობა და უკუკავშირის მიღება ხდება დირექციის წევრებთან პერიოდული შეხვედრებით. მასწავლებლებმა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების და გაცდენების შესახებ. *ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა სადამრიგებლო პროგრამებში დააზუსტოს დამრიგებლის მოვალეობები- კერძოდ რა სიხშირით და რა ფორმით აწვდის მშობელს მოსწავლის შედეგებს.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2 . უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული შემდეგ კოლეგიალურ ორგანოებში : დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და სხვა. აღნიშნული დასტურდება შეხვედრების ოქმებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები)

- პედსაბჭოს ოქმები
- დამრიგებლის პორტფოლიო
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2020-2022 წლებში. სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოღობილია, მოწესრიგებული და გამწვანებულია სკოლის ეზო. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება (N2-91; 18.09.2023) სკოლა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, აქვს კამერები, ორივე სართულზე არის ცეცხლმაქრი და კვამლის დეტექტორი.

სკოლას ვიზიტის დროს არ ქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მგფ -ის პროექტის ფარგლებში შ.პ.ს. „გრუსიას“ მიერ, აღნიშნულ კომპანიას სკოლამ არაერთგზის მიმართა, თუმცა სკოლას ამ დრომდე არ აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ასევე, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთვის სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N 801 მიწერილობა.სახანძრო სამსახურის მიერ გაცემული მიწერილობის დოკუმენტი თარიღდება 06.07.2022 წლით. **სკოლას ვიზიტის დროს არ ქონდა დასკვნა შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების *აღმოჩენას. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და კანონმდებლობის შესაბამისად სამედიცინო კაბინეტში უზრუნველყოს პაციენტთა ინდივიდუალური მიღება.*

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, ვერ დგინდება შენობის

ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) და სკოლას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023 - 15.06.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და საგანგებო სიტუაციების გეგმა შეთანხმოს შესაბამის სამსახურთან.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას ბრძანებით ყავს განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი (ბრძანება N2-91; 18.09.2023) საზოგადოებრივი წესრიგს დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში ფსიქოლოგიურად და უსაფრთხო გარემოს შექმნას უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების წევრები. კერძოდ, მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები, მანდატურები და კლასის დამრიგებლები. დირექციის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში იყენებენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის მომსახურებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას ყავს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე აორგანიზებენ დსუფთავების აქციებს. სკოლას გააჩნია მონიტორინგის სისტემა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტი არის სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი" (ბრძანება N 2-100; 19.09.2023) სადაც დაწვრილებით არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციები. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და

პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სასკოლო აქტივობების დროს პირადი ფოტების გასაჯაროვების თაობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას ბრძანებით ყავს დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, აღნიშნული დოკუმენტის 14 მუხლი არეგულირებს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს, ესენია: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს, უსაფრთხოების მენეჯერს და ექთანს, აგრეთვე ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს(არსებობის შემთხვევაში). სკოლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში წვდომის უფლება აქვთ უფლებამოსლ პირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლა სისტემატურად ახორციელებს უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგს. როგორც ზემოთ აღინიშნა სკოლას ყავს მრჩეველთა საბჭო. საბჭოს მიერ განსახილველი საკითხები ძირითადად ეხება უსაფრთხოებას. დირექციის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორინგის შედეგებს გამოიყენებენ მიმდინარე წლის დაგეგმილ აქტივობებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ- N2-91; 18.09.2023
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ - სულხან საბა ორბელიანის ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლა ფლობს 8686.00 კვ.მ (განაშენიანების - 2122კვ.მ.) ფართს. დაწესებულებას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 900 მოსწავლეზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 სასწავლო წლიდან გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, ამ მომენტისათვის სკოლაში ირიცხება 855 მოსწავლე. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იგრძნობა მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ტემპი. 2023-2024 სასწალო წლისთვის გაიხსნა ოთხი პირველი კლასი. სკოლამ წარმოადგინა შუამდგომლობა კვოტის ზრდასთან დაკავშირებით, რათა სკოლის მოსწავლეთა მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა გაიზარდოს 1210 მოსწავლით. სკოლის შენობა არის ორ სართულიანი

და საგანმანათლებლო საქმიანობას ანხორციელებს ორ ცვლაში. დაწესებულებას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2020-2022 სასწავლო წლებში ემგფ-ის პროექტის ფარგლებში შ.პ.ს. „გრუსია“ -ს მიერ.

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, მომავლის ოთახი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გამოსაცვლელი ოთახებით, ექიმის კაბინეტი, კანცელარია, დარაჯის ოთახი, დამლაგებლის ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები. დერეფანში მოწყობილია სივრცე სადაც გამოფენილია მოსწავლეთა გამოფენები. მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექტორის მოადგილის ოთახი, მანდატურის ოთახი, რესურს ოთახი, ლაბორატორიები (ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის) ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის კაბინეტი და ადაპტირებული სველი წერტილები. ლაბორატორიებში განთავსებულია პროექტორები და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ -ტექნიკური ბაზა იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლამ საგანმანათლებლო პროცესი წარმართოს ავტორიზაციის ვადითა და მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში გამოყოფილია სივრცეები მოსწავლეთა სოციალური ურთიერთობებისთვის. პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, მომავლის ოთახი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გამოსაცვლელი ოთახებით, ექიმის კაბინეტი, კანცელარია, დარაჯის ოთახი, დამლაგებლის ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები. დერეფანში მოწყობილია სივრცე სადაც გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექტორის მოადგილის ოთახი, მანდატურის ოთახი, რესურს ოთახი, ლაბორატორიები (ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის) ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის კაბინეტი და ადაპტირებული სველი წერტილები. ლაბორატორიებში განთავსებულია პროექტორები და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს მხატრული და გრიფირებული წიგნადი ფონდი. ეზოში არის ღია სპორტული მოედანი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს გარე პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები. თუმცა, ინფრასტრუქტურა სრულად არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, სკოლის ინტერიერი არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. სკოლაში რესურს ოთახი, ლაბორატორიული კაბინეტები - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის,

აგრეთვე ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე, პირველ და მეორე სართულზე დამაკავშირებელი კიბეები კი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. სკოლის შენობაში განთავსებულია ლიფტი, რომელიც არ მუშაობს. ასევე, ვიზიტის დროს სკოლა არ ფლობდა უსადენო კავშირის დამყარების ტექნოლოგიას, დირექციის წარმომადგენლება ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ქსელს გაუჩნდა პრობლემა, აღნიშნულთან დაკავშირებით მიწერეს შესაბამის სამსახურს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიწერილობა MES 7 23 0000467532 (28/04/2023) სადაც აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს WiFi ქსელის ხელახალი მონტაჟი იგივე პრინციპით, როგორც იყო ადრე(რეაბილიტაციამდე). **სკოლამ 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 1.11.2023 - 29.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის. კერძოდ, სართულებს შორის დამაკავშირებელი სივრცე იყოს ადაპტირებული და სკოლამ უზრუნველყოს ქსელური მოწყობილობის გამართვა.**

ინდიკატორი 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები. კერძოდ, მომავლის ოთახი სოციალური ურთიერთობებისთვის, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ბილიოთეკა, დიდი დერეფანი სადაც განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, შესრულებული პროექტები, გამწვანებული ეზო და სპორტული ღია მოედანი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლის პირველ სართულზე არის კომპიუტერული კლასი სადაც განთავსებულია 22 მოქმედი კომპიუტერი. მეორე სართულზე ერთ სივრცეშია განთავსებული ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით. კურიკულუმის განხორციელებას აგრეთვე ხელს უწყობს შიდა და გარე სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და რესურს ოთახი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ინვენტარიზაციის შედეგები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

- შენობის აზომვითი ნახაზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია სადაც განთავსებულია 22 მოქმედი კომპიუტერი. ბიოლოგიის, ინგლისურის, ქიმიის და ფიზიკის კაბინეტებში არის კომპიუეტერები და პროექტორები, მომავლის ოთახში არის 17 ლეპტოპი, კომპიუტერული ტექნიკით არის აღჭურვილი სამასწავლებლო, სადაც მასწავლებლები მუშაობენ, შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი ინგლისური ენის და ბიბლიოთეკის კაბინეტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, დირექციის წარმომადგენლება ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ შეუძლიათ მომავლის ოთახში განთავსებული ტექნიკის გამოყენება. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს WIFI, აქვს მხოლოდ კაბელური ინტერნეტი. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში და მომავლის ოთაში არსებული რესურსებით შეუძლიათ ისარგებლონ ორშაბათიდან პარასკების ჩათვლით , ბიბლიოთეკის და მომავლის ოთახის გამოყენება შეუძლიათ მოსწავლეებს შაბათ კვირასაც 12:00 საათიდან 15:00 საათის ჩათვლით. *ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, სადაც დაკონკრეტდება მისი ფუნქციები.*

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები)

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ვიზუალური დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი სადაც გაწერილია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის წესები. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები, ასევე შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. **სკოლამ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალებს, ასევე შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალებს**

სკოლა აწარმოებდა 2023 წლის 1 იანვრიდან თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის სკოლას აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოუდგენია.

ინდიკატორი 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, საქმისწარმოება ხდება ელექტრონულად eflow -ს სისტემით, რომელიც გამოიყენება, როგორც შიდა ასევე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ანგარიშგების ვადები, პერიოდები და პროცედურები. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს და პარლამენტის თავჯდომარეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი. სკოლა ასევე აქტიურად მოიხმარს სოციალურ გვერდს (https://www.facebook.com/bolnisispirveliskola) სადაც განთავსებულია მიმდინარე და დასრულებული პროექტები და ღონისძიებები. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. უნდა აღინიშნოს, რომ ვებ გვერდი ხარვეზებით მუშაობს. სკოლა ინფორმაციის მისაწოდებლად და უკუკავშირის დასაბრუნებლად სკოლა აქტიურად მოიხმარს ელექტრონულ ფოსტას და სატელეფონო კავშირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო, ამას მოწმობს ჩატარებული ღონიძიებების , განხორციელებული პროექტების და აქტივობების ამსახველი აუდიო/ვიზუალური მასალა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სკოლას აქვს მზაობა და სურვილი ხარისხის შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებული უკუკავშირები გამოიყენოს სასკოლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც ქართულად არის განთავსებული ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების ამსახველი მასალები, საკლუბო სამუშაოს ამსახველი მასალები, მასწავლელბელთა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებ გვერდი
- სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას ვიზიტის დროს არ ქონდა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა. აგრეთვე, წარმოდგენილი 2022-2023 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა არ იძლევა ინფორმაციას აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ, შესაბამისად ვერ ფასდება სკოლა ფინანსური რესურსით.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3..7.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.09.2023 - 29.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშავა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც იძლევა ინფორმაციას აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ.
ინდიკატორი 2 . სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საპროგნოზო ბიუჯეტი
- მიმდინარე წლის ბიუჯეტი
- ფინანსური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლაში დასაქმებული პირების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა სასწავლო რეჟიმი, მათი უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლას შემუშავებული და ყველა საკლასო ოთახში გამოკრულია მოსწავლის ქცევის კოდექსი. რის მიხედვითაც სკოლა, გარკვეული პერიოდულობით, ახდენს სკოლის ვებ გვერდზე მოსწავლეთა აქტივობებისა და სურათების გამოქვეყნებას რუბრიკების სკოლაში, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უცხო პირთა გადაადგილების წესი, რომელსაც ახორციელებენ სპეციალური მორიგეობის ცხრილის მიხედვით გადანაწილებული სკოლის თანამშრომლები და ღამის დარაჯი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სსსმ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ოთხი სპეცპედაგოგი და ორი

ასისტენტი. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, თუმცა ამასთან დაკავშირებული სპეციალური შიდა ინსტრუქცია სკოლას არ აქვს შემუშავებული. სკოლაში შექმნილია „მრჩეველთა საბჭო "რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების რეალიზებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლაში გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების მიერ გაზიარებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მშობელთა კრებებზე, ასევე სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილ მშობელთა სივრცეებში, სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. სკოლას აქვს ვებ გვერდი, ამ ეტაპზე ბრძანების სახით არაა განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და გამართულ მუშაობაზე. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა ბრძანების სახით განსაზღვროს სკოლის ვებ გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან, ამ ეტაპზე არ აქვს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნებოდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათი დაცვის გარანტიები. სკოლის ადმინისტრაციის ზეპირსიტყვიერი განცხადებით, შემუშავებული აქვს სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული აქვს მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმება. **სკოლამ 4.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023 - 30.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება". სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება, სადაც ასახულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და მათი დაცვის გარანტიები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- საბჭოს სხდომის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმი, სადაც გაწერილა მოსწავლეთა შეფასების სასკოლო სისტემა, სასკოლო გამოცდების ტიპები. მშობლებსა და მოსწავლეებს, დამრიგებლები, როგორც პირისპირ ასევე სოციალური ქსელით აწვდიან ინფორმაციას სემესტრული გამოცდებისა და გაცდენების ექსტერნის გამოცდების შესახებ (30%) რა დროსაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ კანონიერი უფლება სკოლის ექსტერნის, სემესტრული გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა

მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში ხდება განსხვავებულ ვადებში (I ეტაპზე) მშობლის განცხადებისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე. საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის ინფორმაცია განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

პროგრამებისა თუ სხვადასხვა მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებას. მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები გაწერილია ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლას აქვს ვებ გვერდი და ფბ გვერდი, სადაც იდება სხვადასხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემაში და უშუალოდ სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ. გვერდი არის გამჭირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლას მშობლებთან გაფორმებული აქვს „თანხმობის წერილი“რის მიხედვითაც თავისი შეხედულებისამებრ, ახდენს სკოლის ფბ. და ვებ. გვერდზე მოსწავლეთა აქტივობებისა და სურათების გამოქვეყნებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო კურიკულუმი

- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც არსებობს სკოლაში რესურს ოთახი და შესაბამისი დამხმარე სპეციალისტები. კლასის დამრიგებლებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლაში, საგნის მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ითვალისწინებენ მათ სასწავლო პროცესის დადგემვის დროს. კლასის დამრიგებლების ვალდებულებაა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მუდმივად მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იყენებს მოსწავლეების შეფასებებს. გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა მუდმივად ორიენტირებულია და ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივებისა და საჭიროებების გამოვლენა-რეალიზებას; დაფუძნებულია და აქტიურად ფუნქციონირებს არაერთი მიმართულების კლუბი, ესენია: იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია, თეატრალური კლუბი, „ნორჩი ნატურალისტები“, სამოქალაქო განათლების კლუბი, ეკოკლუბი - სადაც

განხორციელდა გარემოსდაცვითი და სოციალური ტიპის პროექტები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს არაფორმალური განათლების ცენტრებთანაც.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ინტენსიური კონსულტირების და გამოკითხვების მეშვეობით აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. დირექციის წარმომადგენლება ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს და სურვილებს, რომელსაც იზიარებენ და შეძლებისდაგვარად ახორციელებენ,

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კლუბების წესდება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლა პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა სახის საწარმოში მოსწავლეთა ორგანიზებულ ვიზიტებს, სადაც უშუალოდ ეცნობიან რეგიონისთვის სპეციფიკური დარგების ტექნოლოგიურ პროცესებს. ასევე ხორციელედება ორგანიზებული შეხვედრები უმაღლეს სასწავლებლებთან; პროფესიული ორიენტაციის თემატიკა ასევე ასახულია სადამრიგებლო პროგრამებში რა დროსაც კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა აქვს მუდმივი მზაობა ჩაატაროს შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების და სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ წარმომადგენლებთან საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება და რეალიზება მომავალი პროფესიის შერჩევისას.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლასა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლებს შორის არსებული თანამშრომლობის, ურთიერთგაზიარებისა და უკუკავშირის ფორმატები იძლევა შესაძლებლობას შეთავაზებული აქტივობები/სერვისები იყოს არსებულ გამოწვევებსა და გამოცდილებათა გაუმჯობესებაზე ორიენტირებული.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტაატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სადამრიგებლო პროგრამა
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს ოთხი სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. ამ მხრივაც სკოლას აქვს ხელშესახები შედეგები - ორ მოსწავლეს არსებული დინამიკის გათვალისწინებით მოეხსნა სსსმ სტატუსი.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

- ინკლუზიური განათლებისა და განვითარების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლას აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განსაზღვრული სისტემა. კერძოდ, სკოლა თავის მოსწავლეებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დადიან სკოლაში, სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლება, ხელოვნებისა და ინგლისური ენის წრე, სკოლას იჯარის წესით გაცემული აქვს სპორტ დარბაზი.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2 .სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია შესაბამისი სახის ხელშეკრულებები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

გახანგრძლივებული წრეები და სატრანსპორტო საშუალება მოსწავლეებისათვის არის ნებაყოფლობითი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარით გაფორმებული ხელშეკრულებები
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტი კურუკულუმის კონცეპტუალურ და დიზაინის შემუშავების ნაწილში დირექტიული ხასიათისაა, თუმცა კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინება ჩანს. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მშობლების ჩათულობა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება როგორც სასწალო პროცესის დაგეგმის, ასევე უშუალოდ სწავლის პროცესის დროს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის

დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი.გათვალისწინებული გასული სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაო?ა. სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა და კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კარგადაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავებაში, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა დოკუმენტურად არ იკვეთება , თუმცა სკოლის გასული წლების აქტივობებიდან გამომდინარე, რომელიც გამოჩნდა კათედრებთან გასაუბრებების დროს, ჩანს, რომ მშობელთა ჩათულობა საკმაოდ დიდია. ასევე წინა წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების პროდუქტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები გათავლისწინებული და პრიორიტეტულია. სასკოლო საზოგადოების ჩართ?ლობა კარგად ჩანს სანობრივ კურიკულუმის ჩაჩოებში. ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ თიმსის პლატფორმას და სოციალური ქსელების ჯგუფებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობელთა ჩართულობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიუ საბჭოზე. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook - ჯგუფურ ,,ჩათებში''.სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დაწყებით საფეხურზე
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად. შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე

აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი და ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი და თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია მისი ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს ინკლუზიურობას, რომელის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას. მართალია სასკოლო გეგმა და ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დიფერენცირებული

სწავლების მიდგომებს, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სრულყოფილად არ აქვთ ჩამოყალიბებული სწავლების ამგვარი მიდგომების არსი. სკოლას აქვს საუკეთესო პრაქტიკა, სსსმ მოსწავლეებისათვის შეფასების მოხსნის.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და კათედრებთა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებლით შეფასებით ფასდება კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის განმსაზღვრელი შეფასება.

სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შფასების რუბრიკებზე ეტაპობრივად კვლავ მუშაობენ, ასევე აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება. მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, და საკუთარი ინიციატივით წარმოადგინეს გასული სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების პროდუქტები, ისაუბრეს კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დაწყებით საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ მოსწავლეებს ეძლევათ აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში, რაც კარგად ჩანს მოსწავლეთა ინტერესების,

შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით შემუშავებულ კურიკულუმში. ამ მიზანს ემსახურება კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებები. ამ დავალების განხორციელების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. ამ მიზნობრიობით მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა განხორციელების პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. ამ მიმართულებით სკოლაში აგრეთვე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. სოციალური თუ სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. სასკოლო ღონიძიებები, მხიარული სტარტები, კედლის გაზეთები, საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო, დედის დღისა და დედაენის დღისადმი მიღვნილი ღონისძიებები და სხვა. სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შექმნილი სხვადასხვა წრე: ჭადრაკის წრე, ხელოვნების წრე, ინგლისური ენის წრე. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის წარმატებულად განხორციელებისათვის შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა და მაღალი მიმღებლობა, რომელიც საფუძველია სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისა. მნიშვნელოვანია მასწავლებლების მზაობა ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს მომავალშიც.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, კომპლექსური ტიპის სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებები, პროექტები, სასწავლო აქტივობები და მათი განხორციელების ვალდებულება, იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მათი წარმატებით განხორციელება ვერ მოხერხდება თუ ახალი ცოდნის კონსტრუირება არ განხორციელდა წინარე ცოდნის გათვალისწინებით და გამოცდილებით. კურიკულუმების განხილვისას დასტურდება, რომ ისინი შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით თემატურად, გაწერილია შესაბამისი საკითხების თანმიმდევრობა, ნაცნობ კონტექსტებზე და მათთან დაკავშირებულ შედარების მაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც საშუალებას იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. ეს კარგად ჩანს აგრეთვე კომპლექსური დავალებების პირობებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებისაკენ. ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე და ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, უდიდეს ყურადღებას ამახვილებენ სწავლის სწავლაზე, მოსწავლეებს აფიქრებენ არა მარტო, რა ისწავლონ, არამედ როგორ ისწავლონ, რა ხერხები და სტრატეგიები უნდა გამოიყენოს წარმატებული სწავლა-სწავლებისას. როგორ შეძლონ მოსწავლეებმა საკუთარი სწავლის მართვის გათითცნობიერება,

როგორ დაგეგმონ, შეაფასონ და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს. მაგალითად, მოსწავლეებს ვთავაზობთ გამოიყენონ შესასწავლი მასალის შეჯამება, გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, გააკეთონ ჩანაწერები, შეადგინონ დიაგრამები, აგერთვე შეეცადონ შესასწავლი საკითხის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, გაუსვან ხაზი ან გამოყონ სახელმძღვანელოში მთავარი ფრაზები, ინფორმაციის დასამახსოვრებლად ამოწერონ ძირითადი იდეები, დაყონ მთლიანი მასალა ნაწილებდ და ისწავლონ ნაწილ-ნაწილ და ა. შ. ასევე ყურადღებას ვამახვიებთ, აღნიშნეს პედაგოგებმა, მასზე რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ემოციების მართვა ანუ თვითრეგულაცია. როცა მოსწავლე რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება დაინახონ რა შეცდომა დაუშვა და იფიქროს მის გამოსწორებაზე, ასევე ჰქონდეთ წარმატების იმედი. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ასევე სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად მუშავდება ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული, რადგან კომპლექსური დავალების და კომპლექსური ტიპის აქტივობების განხორციელების პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული და მათი წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია ცოდნის ამ სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეულის) ერთიანობის გარეშე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო პროცესის ასეთი მიდგომით წარმართვას, რადგან მოსწავლემ მიიღოს არა მარტო ისეთი ცოდნა, რომელიც მხოლოდ თეორიების, წესების, ფაქტების დამახსოვრებაზე იქნება ორიენტირებული, არამედ შეძლონ გაიაზრონ და შეიმეცნონ თუ როგორ გააკეთონ, როგორ შეძლონ და როდის, რატომ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა. მთავარია მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენება. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;

ცოდნათა ორგანიზება და ურთიერდაკავშირება უკავშირდება სამიზნე ცნებაზე ორიენტირებას. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს წარმოდგენილი კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, სკოლის მიერ დაგეგმულ თუ განხორციელებულ პროექტებში, სხვადასხვა აქტივობებში. მათი განხორციელების პროცესში მოსწავლე იძულებული ხდება თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა იმ ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ეს კი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. იგივე დაადასტურეს და აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. დანართი 27 - პროექტები;
4. კურიკულუმის ჩარჩო;
5. კათედრის სხდომის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1.კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების ინტენსიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, ქვეცნებებს, თემის და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვები ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლაში დამკვირდებული პრაქტიკის თანახმად წლის დასაწყისში კათედრებზე პედაგოგები საგნობრივი კურიკულუმების აგებისას ითვალისწინებენ საგნის სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, კომპლექსური დავალების არჩევისას ცნებების სწორი იერარქიის მიზნით განსაზღვრავენ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს. სამიზნე ცნებებს მიემართება არა მარტო კომპლექსური დავალებები, არამედ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებები. მაგ: (თემების შემაჯამებელი რუბრიკები 5 -ე კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ სასწავლო საგანში დამიზნებულია საგნობრიივ კონტექსტის ფარგლებში მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე). აგრეთვე კარგად ჩანს ცნებების იერარქია 6 - ე კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებაში თბილისის სატრანსპორტო საშუალებების შესახებ. კომპლექსური დავალება შექმნილია ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში,

გამოგზავნილ მასალებში არის კომპლექსური დავალების მატრიცა, სადაც იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რომელიც მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს აქტიური ფიქრის რეჟიმში, არამარტო მშრალად გადმოსცეს თბილისში გავრცელებული ძველი სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და მათი მნიშვნელობა, არამედ გიდის ამპლუაში შესული თავად ,,იქცეს" პროცესების მონაწილედ, თავადაც ვირტუალურად იმოგზაუროს თბილისში. კომპლექსური დავალების განხორციელებისას სავსებით შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლის ელემენტების გამოყენებაც. მასწავლებლების მიერ ხორციელდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება მიმართულია მოსწავლეების მიერ საგნობრივი კონტექსტის გამოყენებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა სფეროში (სპორტული, სახელოვნებო, საგნობრივი). მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ სკვადასხვა კონკურსებში (ესეების კონკურსი), ოლიმპიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც წარმატების მოპოვებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე (სამოქალაქო კლუბის ,,მოქალაქის" წარმატებები, რეგიონალურ კონკურსში ,,დიდგორელი" წარმატებული მონაწილეობა და სხვ). აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდეს სტრესულ სიტუაციებს. დასახელებულ ღონისძიებებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალებების შერჩევის ეტაპზე. მაგ; (4-ე კლასის ,,მე და საზოგადოების" კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - ბუნებრივი რესურსების დაზოგვის შესახებ - - მოსწავლეს დააფიქრებს რა ტიპის ბუნებრივი რესურსები არსებობს, რა მნიშვნელობა აქვს მათ და რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ ბუნებრივ რესურსებს, დაეხმარება გაიაზროს, რა წვლილის შეტანა შეუძლია თავად მას, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში). შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებაზე. ზოგადად სკოლა ზრუნავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განმავითარებელ შეფასებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებას ესგ-ს მოთხოვნების მიხედვით დომინანტური პოზიცია უჭირავს. სკოლის მასწავლებლები ცდილობენ დაანახონ მოსწავლეს თავიანთი გასაუმჯობესებელი

მხარეები, რათა განიცადონ პროგრესი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს : ე.წ. სოლო ტაქსონომია, მოსწავლის განმავითარებელი კომენტარი, შემაჯამებელი დავალების უკუკავშირი, ზეპირი კომენტარები . (მაგ; 3-ე კლასში ,,მე და საზოგადოებაში" შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემისათვის - სასკოლო გარემო (სკოლა, მეგობრები, თანატოლები). საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს სხვადასხვა აქტივობაში, შესასრულებელი დავალების სხვადასხვა ასპექტის წარმოდგენას, მოსწავლის თვითორგანიზების უნარის განვითარებას. კათედრის მიერ მოწოდებულ მასალებში არის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც (5-6 კლასების ,,ჩვენი საქართველოს" თემების მიხედვით). მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და არა მხოლოდ როგორც ფაქტობრივი ცოდნის ინსტრუმენტი. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები : შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა (რომელიც ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში9 5-6 კლასების ,,ჩვენი საქართველო") , შედეგების სოლო ტაქსონომია, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობის, მოტივაციის და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობაზე (პრეზენტაციის, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების ...) მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებია, (მითითებულია ქულები), თუმცა ისინი რეალურად შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები). შესაძლებლობები.

5. სკოლამ დაწყებით საფეხურზე ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული. **სკოლამ 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023 - 30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც**

არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს ვერიფიკაციის მექანიზმი.

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, კერძოდ, შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა და სხვა, მაგრამ ნამუშევრების შენახვა მხოლოდ 1 წლით ხდებოდა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გაითვალისწინებს მტკიცებულებების შენახვას სამი წლის ვადით. *ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში ჩაიწეროს ნამუშევრების 3 წლით შენახვის ვალდებულება.*

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩო (დაწყებით საფეხური)
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერა

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამრშომლობით და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სასოლო სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, მასწავლებელთა ურთეირდთადსწრების ანგარიშები, საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად და განსავითარებლად სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში მესამე თაობის ესგ-ს, ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს და სხვადასხვა პროექტს,შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები,

წარმოდგენილი თემებითა და კომპლექსური დავალების იდეებით, მასწავლებლებთან გასაუბრება, იძლევა საშუალებას, რომ დავადასტურო ზემოთ აღნიშნული.სკოლაში არის პრაქტიკა შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებისთვის ხორციელდება. მოსწავლეებზე ორიენტირებისათვის სკოლაში ფუნქიონირებს დაწყებით საფეხურზე წრეები .

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მტკიცებულებებში წარმოდგენილია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება.სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია არაერთი ღონისძების ამსახველი მასალა დაყებით საფეხურზე, რაც ადასტურებს პოზიტიური კლიმატის არსებობას სოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ფეისბუქ გვერდისა და ვებ გვერდის მისამართები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ურთიერთდასწრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია, რომ ის განახორციელებს კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს და შეფასებას. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს მასზე დაკვირვებით და ანალიზით. ამ მხრივ ყურადღებას ამახვილებს სამ ასპექტზე:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება

აღნიშნული დოკუმენტის შესწავლის და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგისთვის მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, როგორც კომპლექსური დავალებების მიმართულებით, ასევე აპირებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასებას. ის აპირებს მასწავლებელთა საჭიროებების შესწავლასაც მათი თვითრეფლექსიის და დაკვირვების საფუძველზე.

სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის დიაგნოსტირების და შეფასების ეტაპებზე მოიაზრებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა გაკვეთილებზე დასწრება და დაკვირვება შეფასების ჯგუფის მიერ, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, თვითშეფასება და სხვ.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნება: საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას, ზრუნავენ განვითარებაზე. ასევე შეფასების ჯგუფი განახორციელებს დაკვირვებას გაკვეთილებზე და გამოკვეთს მასწავლებელთა საჭიროებებს მათ მხარდასაჭერად. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებაც მოემსახურება მათი საჭიროებების გამოკვეთას სამომავლოდ მათ დასახმარებლად.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლას სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ზოგადად აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციური განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა შედეგების ანალიზს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენებს. ასევევ გასაუბრებიდან დადგინდა, რომ პედაგოგები ხედავენ ურთიერთდასწრებების და ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ეხმარება მათ გაანალიზონ და გაითვალისწინონ სამომავლოდ როგორ გაუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, კი დაეხმარება მათ დაგეგმონ შემდგომი სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. დაწყებითის კათედრა პერიოდულად ატარებს დაწყებითი საფეხურის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს, როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების. აღნიშნული გამოკითხვების ანალიზი იძლევა საშუალებას შეიქმნას გარკვეული სურათი სასწავლო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით. მასწავლებლების მიერ მომზადებული საგნისა და დამრიგებლის ანგარიშებიც იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას. არის მზაობა, შეფასებისთვის გამოიყენონ არამარტო მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, არამედ ინფორმაცია მოიპოვონ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლები იაზრებენ, რომ არსებობს სხვადასხვა წინაპირობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე და სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აპირებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ როგორ მოიპოვონ მოსწავლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წერენ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელიც ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც შეფასების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების ფოკუსის განსაზღვრისა, მიზნის შესაბამისად.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აპირებენ შეფასებისას გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები. ეს შეიძლება იყოს გამოკითხვები, რომელსაც ატარებს სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებთან. საგნის მასწავლებელთა

ანგარიშებიდან ამოღებული სტატისტიკური მონაცემები, შემაჯამებლის ანალიზის შედეგები. ფაქტობრივად, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა, კათედრებზე იმსჯელონ, შეიმუშავონ და შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორები. მშობლებისა და მოსწავლეების პრობლემები, მათი იდენტიფიცირება. დამრიგებლების მიერ ყოველწლიური მოსწავლის დახასიათება ემსახურება მოსწავლის პიროვნული და თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და მათზე დაკვირვებას. შემაჯამებლების ანალიზებიდან და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ მოსწავლეზე და მის სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგის დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტში თვალსაჩინოდ გაწერილია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, მეთოდოლოგიის და პრინციპების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს მათი პრიორიტეტები, შესაძლებლობები, შეხედულებები და საჭიროებები. თვალსაჩინოდ და მკაფიოდ არის გაწერილი მასწავლებლის, კათედრის წევრების, დირექციის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ. მათი ვალდებულებაა ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას და გაანალიზებაში და რეკომენდაციების შემუშავებაში, პრობლემების იდენტიფიცირებასა და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების მოძიებაში, ასევე თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების, სასწავლო პროცესის შესახებ, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების ან მასალების მოსამზადებლად, რადგან კურიკულუმის

შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მიღებული გამოცდილება. იგივე აზრი დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია და დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-განვითარების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესების გთვალისწინებას, რაც დგინდება და იკვეთება მათთან გამოკითხვის, გასაუბრების და ინტერვიუს დროს და შესაბამისად მათი უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მუშავდება კურიკულუმები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით სკოლას წარმოადგენილი აქვს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე ორიენტირებული სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო პროცესს უზრუნველყოფენ ამ კურიკულუმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, ის ფაქტი რომ სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას მომავალშიც ერთობლივად შეიმუშავონ, შექმნან და განახორციელონ სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესების, შეხედულებების შესაბამისად და მათ საფუძველზე სკოლაში წარმართონ სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიის დოკუმენტებში ასახულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები და ყველა იმ პროცედურა რაც კანონმდებლობით, არის გათვალისწინებული მის შემუშავების და განვითარებისათვის. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება, შემუშავებულია დირექტორის, კათედრის წევრების, მასწავლებლების მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაში კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილია მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ზოგიერთი ფუნქცია და პასუხისმგებლობა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - სპეციალური ბრძანებით აქვთ განსაზღრული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

4. სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ მიზნობრიობით, სკოლის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის არხები: ვებგვერდი, http://sso.edu.ge/ka , Teams-ის პლატფორმა, სოციალური ქსელი, მესენჯერ ჯგუფები, სატელეფონო კავშირი, SMS ინფორმაცია, კრებები, სამუშაო სასკოლო საზოგადოებასთან განხორციელებული შეხვედრები, სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო საბაზო საფეხურზე
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

2. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრებთან ინტერვიუს პროცესში

გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, მუშავდება პროექტები,ღონისძიებები. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას გაიხსენეს სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ღონისძიებები, კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები, (დადგმული 2 სპექტაკლი რ. ინანიშვილის ლიტერატურული საღამო და გ.ტაბიძის ლიტერატურული საღამო) სკოლაში ხორციელდება პროექტი ,,წიგნის კლუბი" აღნიშნული ღონისძებები ხელს უწყობს მოცემული უნარების გააქტიურებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

3.შესწავლილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, კათედრის სხდომებზე მასწავლებლები სემესტრულად განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები პროდუქტის დიფერენცირებით. ისინი თავად წყვეტენ, რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი. სსსმ მოსწავლეებისთვის მომზადებულია ისგ, შესაბამისი ადაპტირებული დავალებებით.გარდა ფორმალური სასწავლო პროცესისა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეებს, ჩამოყალიბებულია კლუბები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

4.საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. სკოლამ მოთხოვნის შემდეგ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

5.მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის განმავლობაში დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება. საბაზო საფეხურზე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დონეზე ხორციელდება მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება. მასწავლებელთა გასაუბრებით დასტურდება, რომ მასწავლებლები მომავალ წელს მიღებული შედეგების გაანალიზების მიხედვით, მოახდენენ გამოცდილების გაზიარებასა და შეთანხმებულად დანერგვას , დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო საბაზო საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ მისთვის საინტერესო კუთხით წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.კურიკულუმებში თემები ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად უცხოურ ენაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობიდან ჩანს, რომ აღნიშნული დავალებები ეფუძნება იმ ენობრივ საშუალებებს, სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, რაც მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის მისთვის ნაცნობ სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქცენტს აკეთებენ მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებაზე, მათ შორის მოსწავლეთა მიერ ურთიერთშეფასებასა და შეფასებაზე, რაც თავის მხრივ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებებმა უნდა მოახდინოს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. მაგალითად საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა მისცენ რჩევა თანატოლებს, როგორ დაძლიონ გამოცდის წინაშე არსებული შიში, სტრესი და მართონ ემოციები. ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნის გადმოცემა საკითხთან მიმართებაში, ასევე რჩევისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის დაცვა, კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება, ასევე სამეტყველო ქმედების მიზნობრივად განხორციელება და აზრის დასაბუთება. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. მასწავლებლებს ცოდნის ორგანიზების და ურთიერთ-დაკავშირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მიაჩნიათ კომპლექსური დავალებები. (მაგ; 8-ე კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების, ჩანაწერების დღიურის შექმნა, სადაც აღწერილი იქნება მოგზაურობის სამი დღე და გზად გავლილი ერთი ქალაქი, მოსწავლე შეადგენს რუკას, სადაც ის გამოიყენებს გეოგრაფიის სასწავლო საგანში შეძენილ ცოდნას, ამასთანავე აბრეშუმის დიდი გზის ისტორიის შესწავლისას ერთმანეთთან დააკავშირებს აბრეშუმის დიდი გზის ისტორიულ და დღევანდელ მნიშვნელობას). საგნობრივი კავშირების დამყარების პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლეთა არსებულ ცოდნაზე, გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები. ამასთანავე მოსწავლეები ჩართულები არიან არაფორმალური განათლების აქტივობებში (პროექტები, კლუბები ...), რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე;**
- **სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების ამსახველი მასალა.**
- **სსიპ- სულხან-საბა პრბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალების ინტენსიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, ქვეცნებებს, თემის და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვები ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლაში დამკვირდებული პრაქტიკის თანახმად, წლის დასაწყისში კათედრებზე პედაგოგები საგნობრივი კურიკულუმების აგებისას ითვალისწინებენ საგნის სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, კომპლექსური დავალების არჩევისას ცნებების სწორი იერარქიის მიზნით განსაზღვრავენ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს. სამიზნე ცნებებს მიემართება არა მარტო კომპლექსური დავალებები, არამედ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებები. აგრეთვე კარგად ჩანს ცნებების იერარქია 7- ე კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებაში - საველე დღიურის შექმნა დმანისის აღმოჩენებთან დაკავშირებით. კომპლექსური დავალება შექმნილია ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, გამოგზავნილ მასალებში არის კომპლექსური დავალების მატრიცა, სადაც იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რომელიც მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს აქტიური ფიქრის რეჟიმში, არამარტო მშრალად გადმოსცეს დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების მნიშვნელობა, არამედ არქეოლოგის ამპლუაში შესული თავად ,,იქცეს“ პროცესების მონაწილედ, ყველა არტეფაქტს შეხედოს მეცნიერული თვალთახედვით. კომპლექსური დავალების განხორციელებისას სავსებით შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლის ელემენტების გამოყენებაც. მასწავლებლების მიერ ხორციელდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება მიმართულია მოსწავლეების მიერ საგნობრივი კონტექსტის გამოყენებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა სფეროში (სპორტული, სახელოვნებო, საგნობრივი). მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში (ესეების კონკურსი), ოლიმპიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც წარმატების მოპოვებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე (სამოქალაქო კლუბის ,,მოქალაქის“ წარმატებები, რეგიონალურ კონკურსში ,,დიდგორელი“ წარმატებული მონაწილეობა და სხვ). აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის

გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდეს სტრესულ სიტუაციებს. დასახელებულ ღონისძიებებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალებების შერჩევის ეტაპზე. მაგ; (7-ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - ომბუდსმენთან გასაგზავნი წერილი ბავშვთა შრომისა და ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივაზე - მოსწავლეს დააფიქრებს თანატოლთა შრომის გამოყენების ფორმებზე, დაეხმარება გაიაზროს, რა სახის შრომით ურთიერთობებში შეიძლება სხვადასხვა ასაკის ბავშვის ჩართვა და რა სახის შრომა არის აკრძალული ბავშვებისთვის, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებაზე. ზოგადად, სკოლა ზრუნავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლის მასწავლებლები ცდილობენ დაანახონ მოსწავლეს თავიანთი გასაუმჯობესებელი მხარეები, რათა განიცადონ პროგრესი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და გასაუბრებისას გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს: ე.წ. სოლო-ტაქსონომია, მოსწავლის განმავითარებელი კომენტარი, შემაჯამებელი დავალების უკუკავშირი. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს სხვადასხვა აქტივობაში, შესასრულებელი დავალების სხვადასხვა ასპექტის წარმოდგენას, მოსწავლის თვითორგანიზების უნარის განვითარებას. კათედრის მიერ მოწოდებულ მასალებში არის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები : შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა (რომელიც ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში), შედეგების სოლო ტაქსონომია, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობის, მოტივაციის და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობაზე (პრეზენტაციის, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების ...) მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებია, (მითითებულია ქულები), თუმცა ისინი რეალურად

შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც. ამასთანავე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით საგნობრივი კონტექსტების მეშვეობით სამიზნე ცნებების გააზრებაზეა ორიენტირებული. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. სამართლიანი. სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლამ საბაზო საფეხურზე ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული. **სკოლამ 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023 - 30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს ვერიფიკაციის მექანიზმი.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, კერძოდ, შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა და სხვა, მაგრამ ნამუშევრების შენახვა მხოლოდ 1 წლით ხდებოდა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გაითვალისწინებს მტკიცებულებების შენახვას სამი წლის ვადით. **ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში ჩაიწეროს ნამუშევრების 3 წლით შენახვის ვალდებულება.**

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩო (საბაზო საფეხური)
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშებასება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში შექმნილია დამატებითი სააღმზრდელო მომსახურეობა, ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, სადაც მოსწავლეებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას ახდენენ, საგნობრივ კათედრებზე ხდება ურთიერთანამშრომლობა, ურთიერთ დასწრება, როგორც კრიტიკული მეგობარი, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა, სკოლის ესთეტიკის და სპორტის კათედრასთან ერთად კი გეგმავს სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მრავალფეროვან სპორტულ აქტივობებს, სადაც მონაწილეობას ღებულობს სკოლის საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე, მათი შესაძლებლობის და ინტერესების შესაბამისად. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა საგაკვეთილო პროცესის გარდა, დამატებით ისარგებლონ სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. საბაზო საფეხურზე აქტიურად მიმდინარეობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის საბაზო საფეხურზე ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და სპორტულ ფესტივალებს. **აღნიშულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა ხდება მოსწავლეების და მასწავლებლების თანამშრომლობით. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ფესტივალებს, სადაც სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ფეისბუქ გვერდისა და ვებ გვერდის მისამართები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ურთიერთდასწრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია, რომ ის განახორციელებს კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს და შეფასებას. ის გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის მასზე დაკვირვებით და ანალიზით. ამ მხრივ ყურადღებას ამახვილებს სამ ასპექტზე:
ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით; ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება. აღნიშნული დოკუმენტის შესწავლის თანახმად და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგისთვის მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, როგორც კომპლექსური დავალებების მიმართულებით, ასევე აპირებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასებას. ის აპირებს მასწავლებელთა საჭიროებების შესწავლასაც მათი თვით-რეფლექსიის და დაკვირვების საფუძველზე. სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის დიაგნოსტირების და შეფასების ეტაპებზე მოიაზრებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა გაკვეთილებზე დასწრება და დაკვირვება შეფასების ჯგუფის მიერ, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, თვითშეფასება და სხვ. პროცეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნება: საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა ხვეწავენ საკუთარ პრაქტიკას, ზრუნავენ განვითარებაზე. ასევე შეფასების ჯგუფი განახორციელებს დაკვირვებას გაკვეთილებზე და გამოკვეთს მასწავლებელთა საჭიროებებს მათ მხარდასაჭერად. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებაც მოემსახურება მათი საჭიროებების გამოკვეთას სამომავლოდ მათ დასახმარებლად. პროცეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლას სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ზოგადად აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციური განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა შედეგების ანალიზს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენებს. ასევე გასაუბრებიდან დადგინდა, რომ პედაგოგები ხედავენ ურთიერთდასწრებების და ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ეხმარება მათ გაანალიზონ და გაითვალისწინონ სამომავლოდ როგორ გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, კი დაეხმარება მათ დაგეგმონ შემდგომი სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. პროცეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს, როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების. აღნიშნული გამოკითხვების ანალიზი იძლევა საშუალებას შეიქმნას გარკვეული სურათი სასწავლო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით. მასწავლებლების მიერ მომზადებული საგნისა და დამრიგებლის ანგარიშებიც იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას. არის მზაობა, შეფასებისთვის გამოიყენონ არამარტო მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, არამედ ინფორმაცია მოიპოვონ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლები იაზრებენ, რომ არსებობს სხვადასხვა წინაპირობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე და სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აპირებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ როგორ მოიპოვონ მოსწავლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წერენ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელიც ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც შეფასების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების ფოკუსის განსაზღვრისა, მიზნის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აპირებენ შეფასებისას გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები. ეს შეიძლება იყოს გამოკითხვები, რომელსაც ატარებს სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებთან. საგნის მასწავლებელთა ანგარიშებიდან ამოღებული სტატისტიკური მონაცემები, შემაჯამებლის ანალიზის შედეგები. ფაქტობრივად, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა, კათედრებზე იმსჯელონ, შეიმუშავონ და შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორები. მშობლებისა და მოსწავლეების პრობლემები, მათი იდენტიფიცირება. დამრიგებლების მიერ ყოველწლიური მოსწავლის დახასიათება ემსახურება მოსწავლის პიროვნული და თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და მათზე დაკვირვებას. შემაჯამებლების ანალიზებიდან და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ მოსწავლეზე და მის სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების დოკუმენტში იკვეთება, რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. დაწყებულია და ნაწილობრივ შემუშავებულია კურიკულუმები. პარალელურად მიმდინარეობს კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, დასკვნების გამოტანა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. არის მზაობა, რომ კურიკულუმებში და სამოქმედო წლიურ გეგმაში ასახონ სკოლის პრიორიტეტები. ასევე, გათვალისწინებულ იქნას სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. აპირებენ გაითვალისწინონ განვლილი სასწავლო წლის რეფლექსია და გააკეთონ საჭიროებების ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმების დახვეწაზე. აპირებენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახონ საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას აპირებენ გაითვალისწინონ ის პრობლემები, როელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ პრობლემის დაძლევის გზები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საგნობრივი კურიკულუმები.
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტის „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, შესწავლის შედეგად ვასკვნით, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტში თვალსაჩინოდ გაწერილია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, მეთოდოლოგიის და პრინციპების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს მათი პრიორიტეტები, შესაძლებლობები, შეხედულებები და საჭიროებები. თვალსაჩინოდ და მკაფიოდ არის გაწერილი მასწავლებლის, კათედრის წევრების, დირექციის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ. მათი ვალდებულებაა ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას და გაანალიზებაში და რეკომენდაციების შემუშავებაში, პრობლემების იდენტიფიცირებასა და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების მოძიებაში, ასევე თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების, სასწავლო პროცესის შესახებ, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების ან მასალების მოსამზადებლად, რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მიღებული გამოცდილება. იგივე აზრი დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია და დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-განვითარების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესების გთვალისწინებას, რაც დგინდება და იკვეთება მათთან გამოკითხვის, გასაუბრების და ინტერვიუს დროს და შესაბამისად მათი უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მუშავდება კურიკულუმები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით სკოლას წარმოადგენილი აქვს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე ორიენტირებული სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო პროცესს უზრუნველყოფენ ამ კურიკულუმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, ის ფაქტი რომ სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას მომავალშიც ერთობლივად შეიმუშავონ, შექმნან და განახორციელონ სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესების, შეხედულებების შესაბამისად და მათ საფუძველზე სკოლაში წარმართონ სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში ასახულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები და ყველა იმ პროცედურა რაც კანონმდებლობით, არის გათვალისწინებული მის შემუშავების და განვითარებისათვის. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება, შემუშავებულია დირექტორის, კათედრის წევრების, მასწავლებლების მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაში კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილია მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ზოგიერთი ფუნქცია და პასუხისმგებლობა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - სპეციალური ბრძანებით აქვთ განსაზღრული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ მიზნობრიობით, სკოლის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის არხები: ვებგვერდი, http://sso.edu.ge/ka, Teams-ის პლატფორმა, სოციალური ქსელი, მესენჯერ ჯგუფები, სატელეფონო კავშირი, SMS ინფორმაცია, კრებები, სამუშაო სასკოლო საზოგადოებასთან განხორციელებული შეხვედრები, სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დაწყებით საფეხურზე
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, მუშავდება პროექტები,ღონისძიებები. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას გაიხსენეს სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ღონისძიებები, კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები, (დადგმული 2 სპექტაკლი რ. ინანიშვილის ლიტერატურული საღამო და გ.ტაბიძის ლიტერატურული საღამო) სკოლაში ხორციელდება პროექტი ,,წიგნის კლუბი" აღნიშნული ღონისძებები ხელს უწყობს მოცემული უნარების გააქტიურებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.შესწავლილი მტკიცებულებებისა და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, კათედრის სხდომებზე მასწავლებლები სემესტრულად განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები პროდუქტის დიფერენცირებით. ისინი თავად წყვეტენ, რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი. სსსმ მოსწავლეებისთვის მომზადებულია ისგ, შესაბამისი ადაპტირებული დავალებებით.გარდა ფორმალური სასწავლო პროცესისა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეებს, ჩამოყალიბებულია კლუბები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. სკოლამ მოთხოვნის შემდეგ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის განმავლობაში დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება. საშუალო საფეხურზე, ხორციელდება მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება. მასწავლებელთა გასაუბრებით დასტურდება, რომ მასწავლებლები მომავალ წელს მიღებული შედეგების გაანალიზების მიხედვით, მოახდენენ გამოცდილების გაზიარებასა და შეთანხმებულად დანერგვას, დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა

შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დაწყებით საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე, მიმდინარე სასწავლო პროცესი მორგებული არის მოსწავლის ინტერესებზე და მის აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სასწავლო პროცესი არის დაფუძნებული კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც შემოქმედებით პროდუქტებს და საინტერესო კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რომლებიც ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კურიკულუმების სრულყოფა გრძელდება და პედაგოგებს მოსამზადებელი აქვთ კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, ირკვევა რომ (კურიკულუმებიდან,გასაუბრების შედეგებიდან) პედაგოგები მრავალფეროვან რესურსებს იყენებენ, საინტერესო, მოსწავლეზე მორგებული, თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე ზრუნავენ, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მოტივაცია, რომ თავიანთი შინაგანი უნარები და ნიჭი გამოავლინონ. მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება, პედაგოგები უსმენენ მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს, ეხმარებიან მათ განხორციელებაში. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ , რომ მასწავლებლებს აქვს მზაობა და ცოდნა ინდიკატორის განხორციელებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები აგებული არის სავალდებულო თემების მიხედვით, განსაზღვრული არის საკითხთა კლასტერი, მუშავდება კომპლექსური დავალების იდეები. წარმოდგენილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ცოდნის აგება თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენს და მისი კონსტრუირების პროცესში ხდება წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება. კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემები მოაზრებული არის მოსწავლის შემეცნების სუბიექტად და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, უდიდეს ყურადღებას ამახვილებენ სწავლის სწავლაზე, მოსწავლეებს აფიქრებენ არა მარტო, რა ისწავლონ, არამედ როგორ ისწავლონ, რა ხერხები და სტრატეგიები უნდა გამოიყენოს წარმატებული სწავლა-სწავლებისას. როგორ შეძლონ მოსწავლეებმა საკუთარი სწავლის მართვის გათითცნობიერება, როგორ დაგეგმონ, შეაფასონ და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს. მაგალითად, მოსწავლეებს ვთავაზობთ გამოიყენონ შესასწავლი მასალის შეჯამება, გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, გააკეთონ ჩანაწერები, შეადგინონ დიაგრამები, აგერთვე შეეცადონ შესასწავლი საკითხის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, გაუსვან ხაზი ან გამოყონ სახელმძღვანელოში მთავარი ფრაზები, ინფორმაციის დასამახსოვრებლად ამოწერონ ძირითადი იდეები, დაყონ მთლიანი მასალა ნაწილებდ და ისწავლონ ნაწილ-

ნაწილ და ა. შ. ასევე ყურადღებას ვამახვიებთ, აღნიშნეს პედაგოგებმა, მასზე რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ემოციების მართვა ანუ თვითრეგულაცია. როცა მოსწავლე რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება დაინახონ რა შეცდომა დაუშვა და იფიქროს მის გამოსწორებაზე, ასევე ჰქონდეთ წარმატების იმედი. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ასევე სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად მუშავდება ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული, რადგან კომპლექსური დავალების და კომპლექსური ტიპის აქტივობების განხორციელების პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული და მათი წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია ცოდნის ამ სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეულის) ერთიანობის გარეშე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო პროცესის ასეთი მიდგომით წარმართვას, რადგან მოსწავლემ მიიღოს არა მარტო ისეთი ცოდნა, რომელიც მხოლოდ თეორიების, წესების, ფაქტების დამახსოვრებაზე იქნება ორიენტირებული, არამედ შეძლონ გაიაზრონ და შეიმეცნონ თუ როგორ გააკეთონ, როგორ შეძლონ და როდის, რატომ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა. მთავარია მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენება. შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სასკოლო პროექტები ;
4. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილი არის სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში მოცემული არის ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. იგივე შეიძლება ითქვას წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე: ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეესაბამება საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, ეყრდნობა სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს. ასევე, განხორციელებულ სავალდებულო პროექტებში ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამაზე მეტყველებს როგორც საშუალო საფეხურზე განხორციელებული სავალდებულო, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვა პროექტები. სოციო-ემოციური სწავლის პროცესი ორიენტირებულია ისეთ კომპეტენციებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, ღირებულებები, თვითრეგულაცია, ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე ამ ყველაფერს ხელს უწყობს სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი არაერთი განხორციელებული ღონისძიება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე, მეათე კლასში, სავალდებულო პროექტების განხორციელების შემდგომ ხდება მოსწავლეთა შეფასება ჰოლისტურად და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. წარმოდგენლია შეფასების ზოგადი რუბრიკები და კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კრიტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლამ საშუალო საფეხურზე ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული. **სკოლამ 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023 - 30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შეიმუშაოს ვერიფიკაციის მექანიზმი.**

6. სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ სკოლის რეაბილიტაციისას (2021-2022 წწ.) მოხდა აღნიშნული დოკუმენტაციის გაბნევა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გაითვალისწინებს მტკიცებულებების შენახვას სამი წლის ვადით. **ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში ჩაიწეროს ნამუშევრების 3 წლით შენახვის ვალდებულება.**

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- კურიკულუმის ჩარჩო (დაწყებით საფეხური)
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეგასება
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შესწავლილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშორმლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სასოლო სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, მასწავლებელტა ურთეირდთადსწრების ანგარიშები, საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. სკოლა მხარს უწერს მოსწავლეებს ოლიმპიადის მოსამზადებელი ეტაპზე, მტკიცებულებებში მოცემულია ოქმი, ოლიმპიადაზე მოსწავლისთვის მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად და განსავითარებლად სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში მესამე თაობის ესგ-ს, ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს და სხვადასხვა პროექტს,შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, წარმოდგენილი თემებითა და კომპლექსური დავალების იდეებით, მასწავლებლებთან გასაუბრება, იძლევა საშუალებას, რომ დავადასტურო ზემოთ აღნიშნული.სკოლაში არის პრაქტიკა შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებისთვის ხორციელდება. მოსწავლეებზე ორიენტირებისათვის სკოლაში ფუნქიონირებს დაწყებით საფეხურზე წრეები.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მტკიცებულებებში წარმოდგენილია მასწავლებელტა ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთნ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება.სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია არაერთი ღონისძების ამსახველი მასალა დაყებით საფეხურზე, რაც ადასტურებს პოზიტიური კლიმატის არსებობას სოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ფეისბუქ გვერდისა და ვებ გვერდის მისამართები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ურთიერთდასწრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მასწავლებლები აღნიშნავდნენ, სკოლაში მოქმედი პრაქტიკის თანახმად ხორციელდება სკოლის დირექციის მიერ ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად მთელი წლის განმავლობაში მომდინარეობს მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი შემდეგ ფაქტორებზე: გამოყენებული მეთოდები, სასწავლო გარემო, გამოყენებული შეფასების ფორმები, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირება, დიფერენცირებული სწავლების მეთოდების გამოყენება მასწავლებელს აძლევს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართულია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც სკოლამ შეიმუშავა ამ ეტაპზე და მომავალი სასწავლო წლისათვის დამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, სადაც უფრო ნათლად გამოიკვეთება კურიკულუმის მონიტორინგთან დაკავშირებული პროცესები და პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესში (მათ შორის, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რაც შეეხება კვლევასა და შეფასებას, ამ მხრივ ყურადღება მახვილდება სამ ასპექტზე: ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად

ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით; ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება; გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება. ამ მიმართულებით მუშაობს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების სწორი ხედვა. კერძოდ, გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები ხედავდნენ არსებული კურიკულუმის მთავარ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და ჰქონდათ მზაობა მათი გამოსწორების. ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაძლებლობები მისი განვითარებისათვის. sაზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებმა საუბრის დროს აღნიშნეს, რა შეიძლება იყოს სუსტი მხარე, რით შეიძლება იყოს ის გამოწვეული, როგორ შეიძლება მათი გადაჭრა (მაგ; - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისარგებლეს რა ქოუჩინგის ფარგლებში მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ფორმით, მათ მიერ შედგენილ საგნობრივ კურიკულუმში დასახვეწი იყო კონტექსტ - მაგალითების და შედარებისმაგალითების ნაწილი, კურიკულუმი გასამრავალფეროვნებელი იყო დამატებითი რესურსებით).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების დანერგილი მექანიზმები, როგორც მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში ამ მიზნით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, ცალკეული ინტერვიუები მშობლებთან. ამასთანავე სკოლის ადმინისტრაცია სისტემატურად იბარებს საგნის მასწავლებლების და დამრიგებლების ანგარიშს. დაისვა საკითხი, როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციებისა და ინტერვენციების განხორციელება. სასურველია კიდევ უფრო გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობა, ამასთანავე შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, ინფორმაციის მოპოვების წყაროები, სასწავლო წლის განმავლობაში პროცესის განხორციელების ვადები და პერიოდულობა, პროცესში ჩართული სტრუქტურების უფლება-მოვალეობები. ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე). აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომელიც ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებს მრავალფეროვანი წაროებიდან : მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება და ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენოს მრავალი კონტექსტი. როგორც როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა სკოლაში ამ მიზნით ხორციელდება რამდენიმე სახის ღონისძიება (მაგ; დამრიგებლების მიერ მოსწავლეების დახასიათება, ამ ინფორმაციის ანალიზი დირექციის მიერ და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა). ყურადღება გამახვილებულია მშობელთა ჩართულობის კომპონენტზე. სასურველია კიდევ უფრო გამოიკვეთოს სასწავლო პროცესის რომელ მთავარ ასპექტებზე მოხდება დაკვირვება საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში და რომელი კონტექსტები იქნება გათვალისწინებული. ამასთანავე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები იზიარებენ სასწავლო პროცესის შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების აუცილებლობას. ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოიყენებენ რაოდენობრივ და თვისებრივ

მეთოდებს, ამ მეთოდების გამოყენებით მუშავდება მონაცემები, რომლებიც მოიპოვება სკოლის მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, ამავე მეთოდების მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მონაცემები (მაგ; შემაჯამებლის ანალიზი). სასურველია კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები (მაგ; გამოყენებულ იქნას ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა). პროცესებში აქტიურად იქნება ჩაბმული საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები იზიარებენ სასწავლო პროცესის შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობას. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, სკოლა სწორად ამახვილებს ყურადღებას მოსწავლეების აკადემიური შედეგების სრულფასოვანი ანალიზის სხვადასხვა ღონისძიებებზე და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვაზე. თუმცა სასურველია ფაქტორების სპექტრის გაფართოება. მაგ; აქცენტირებული დაკვირვების ქვეშ მოექცეს სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, სახელმძღვანელოები და შერჩეული რესურსები, საკლასო და გარე სასკოლო სივრცეებში არსებული ვითარება და სხვ. სასწავლო პროცესში მოხდება ამ და სხვა ფაქტორების შესწავლა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა. პროცესებში აქტიურად იქნება ჩაბმული საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საგნობრივი კურიკულუმები.
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტი
- სსიპ- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი: 28.11.2023